საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 24 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 50 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 50

## თავისუფლების მოციქულები

„მე ჩავალ ჩემს ამხანაგებთან და ვიტყვი, რომ საქართველოს უფლება აქვს თავისუფლებისა, რომ ქართველი ხალხი და საქართველო არ არის ღირსი მონობისა (ოვაციები)“.

შოუს სიტყვა ფედერალისტების პარტიულ დარბაზში. („სახ. საქმე“, 21 სექ. № 932).

ასეთ სიტყვებს ამბობს მონათ-მფლობელის სულით გაჟღენთილი ინგლისელი „სოციალისტი“ შოუ და პირდაღებული ფედერალისტები ოვაციებს უძღვნიან მას საპასუხოთ. და ეს ის ხალხია, რომელიც ყბა-გაუჩერებლათ ლაპარაკობს თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, ტრაბახობს, რომ მან სისხლით მოიპოვა იგი და ფიცსა სდებს, რომ სიცოცხლეს გასწირავს მის დასაცავათ!

არა, ბატონებო! თქვენგან თავის დღეში არ გამოვა ადამიანი! მხოხავათ დაბადებულნი თქვენ ფრენას ვერ შესძლებთ და მონურ ფსიხოლოგიას თქვენ ვერასოდეს თავს ვერ დააღწევთ.

შოუ ეუბნებათ, რომ საქართველო არ არის ღირსი მონობისა და საქართველოს სიყვარულში დაჭლექებულებს გულზე მალამოთ ხვდებათ ეს სიტყვები! ვერ ხვდებიან, რომ ეს უდიდესი შეურაცხყოფაა არა მარტო ქართველი ხალხისა, არამედ ყველა ტვირთ-მძიმე და დაჩაგრულებისა. შოუს მიერ საქართველოს ასეთი გაბედნიერება მონობის აღიარებაა, მონობის ცნობაა პრინციპიალურათ. ის დღეს მასპინძლების გულუხვობით კაი გუნებაზე დამდგარი იმეტებს, რომ საქართველო გამოშორდეს მონობის წყვდიადს და ფედერალისტებსაც უხარიათ ბატონის ასეთი წყალობა: დეე იყოს საერთოთ მონოპა, ჩვენ ხომ თავისუფლებას გვპირდებიან.

გვპირდებიან! აბა თუ დასთვლით, რამდენ ხალხს დაპირდა შოუს სათაყვანო იმპერიალისტური ინგლისი განთავისუფლებას, დამოუკიდებლობას! აბა თუ დაასახელებთ ერთ მაგალითს მაინც, რომ მას თუნდაც ერთი პატარა ერი თავისი ნებით გაენთავისუფლებინოს!

ევროპის დელეგაციის მთელი კომედიანტობაც თვალნათლივ სჩანს შოუს სიტყვებში. ისინი აქ მოდიან, რომ საკუთარი თვალით ნახონ და დარწმუნდენ, მართლა ღირსია ქართველი ხალხი თავისუფლებისა, თუ მონობის ბორკილები უნდა ედოს მას საუკუნოთ.

თავისუფლების ნამდვილი მოსარჩლე პირში ჩასჩრიდა თავხედ „ცივილიზატორს“ მის ცინიზმით სავსე სიტყვებს. რუსეთის დესპოტიისაგან დაჩაგრულ ფედერალისტებს კი თავშიაც არ მოსდით, რომ მონობის ღირსი არც ერთი ხალხი არ არის ქვეყანაზე, არ არის ამის ღირსი თვით ფელახებიც კი, რომლებიც იმავე ინგლისელებს პირუტყვებზე უარესს მდგომარეობაში ჰყავთ ჩაყენებული; არ არის ღირსი, თუნდაც ამ დამონებაზე იყოს აშენებული ბრიტანიის ძლიერება, რომლის ცოტაოდენი ნასუფრალი ხვდება შოუს და ძმათა მისთა, რისთვისაც ისინი ასე კარგად ითვისებენ თავის ბატონის მონათ-მფლობელურ ფსიხოლოგიას.

ჩვენ კი ვეტყვით ბ. შოუს: ის ხალხები, ვისთვისაც თქვენ სიტყვითაც არ გემეტებათ თავისუფლება, ის ხალხები, რომლებიც დამონებული არიან თქვენი ქვეყნის იმპერიალისტების მიერ, თითონ გაინთავისუფლებენ თავს მონობიდან და მას შესძლებენ არა ტკბილ-ტკბილი რეჩებით და ოვაციებით, არამედ შეუბრალებელი ბრძოლით ყველა თავის მტრების და მათ შორის თქვენს წინააღმდეგ. მათ ვერ მოხიბლავს ბურჟუაზიულ ნაციათა ლიგის წევრობა, რომელსაც თქვენ პირდებით მონობას შეჩვეულ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს. თქვენ, რომელთაც მოკალით მეორე ინტერნაციონალი და გასცვალეთ იგი კლემანსო-ლოიდ-ჯორჯის აგენტურაზე, ზიზღით შეგხედავთ ყოველი ხალხი, რომელიც მართლა იბრძვის თავისუფლებისათვის. მაშ მიიღეთ საქართველოს რევოლიუციონური პროლეტარებისაგან მთელი ის ზიზღი და გულის წყრომა, რომელიც თქვენ სავსებით დაიმსახურეთ მთელი თქვენი მოქმედებით და უკანვე წაიღეთ ის წყალობა, რომელიც გამოხატულია ფედერალისტებთან თქვენს საზეიმო სიტყვებში.

## ადგილობრივი პრესა.

„ერთობას“ წესათ აქვს მუდამ სხვას დააბრალოს, როცა საქმე სასურველათ არ მიდის და თავის თავს მიაწეროს ყოველი სასიკეთო რამ, თუნდაც ეს მისგან დამოუკიდებლათ ხდებოდეს. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას სამი წელიწადია ებრძვის „ერთობა“ და ახლა უკვირს, რატომ არ არის იგი სასურველ ნიადაგზე დამყარებული. ის ამის მიზეზებს ეძებს და პოულობს მათ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლების ბუნდოვანობაში და უმთავრესათ კი შინაურ და გარეშე მტრებში. ის სწერს:

„მაგრამ თავისთავათ ამ წინააღმდეგობას და გაურკვევლობას ადვილათ მოელებოდა ბოლო, რომ ასეთივე გაურკვევლობა, კიდევ მეტი—პირდაპირ მძიმე ატმოსფერა არ იყოს შექმნილი ჩვენი ზოგიერთი შინაური და გარეშე მტრებისაგან.

„აქ ადგილობრივი ქართველი კომუნისტები, რომელნიც რუსეთის მილიონების შემყურე არიან და საბჭოთა ნასუფრალით სუქდებიან, ყოველი საშუალებით ცდილობენ თავის თავი საბჭოთა რუსეთის დიდათ საჭირო პირებათ და დაუღალავ მებრძოლებათ მოაჩვენონ.

„ამ მიზნით მართლა კომუნისტები, და კიდევ უფრო მეტათ მათ წრეში შეფარებული დენიკინელები, ძველი მოხელეები და ავანტიურისტები, ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს წაკიდონ და მათ შორის სისხლის ღვრისათვის ნიადაგი მოამზადონ.. ეს ატმოსფერა მტრობის და პროვოკაციის შეიქრა ბოლოს და ბოლოს თვით ამ მხარეთა ურთიერთობის საკითხში და მორიგების ყოფილი ცდა გააბათილა. აი მთავარი მიზეზი კიროვის მისიის ასეთი უნაყოფობისა“.

იპოვა რა მიზეზი, საშუალებასაც ადვილათ პოულობს გაზეთი. ეს საშუალებაა ბოლშევიკებიდან საქართველოს გაწმენდისა, რომელიც არა ერთხელ განუხორციელებიათ „ერთობის“ მესვეურებს. ის სწერს:

„უნდა ბოლო მოეღოს აგრეთვე საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას ადგილობრივი კომუნისტების საშუალებით და რუსეთის ფულებით.“

ერთი სიტყვით, საქართველოში დეე იყოს რუსეთის საბჭოთა მისია, მაგრამ ნუ იქნებიან ადგილობრივი კომუნისტები,—აი ის ახალი და თან მუდამ ძველი გზა, რომელიც არა ერთხელ უცდიათ „ერთობის“ მესვეურებს.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

### კომუნისტების მუშაობა საქართველოში.

ვითომ ოსმალეთის და გერმანიის შემოსევისაგან ქვეყნის ფიზიკური არსებობის გადასარჩენათ გასწყვიტეს 1918 წ. საქართველოს მენშევიკებმა კავშირი რუსეთთან და გადალახეს რევოლიუციონური ფრონტი: არ იცნეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, დამოუკიდებლათ შეკრეს ზავი ოსმალეთთან და გერმანიის იმპერიალიზმი მათ ქვეყანაში ისე დაბინავდა, როგორც საკუთარ ქვეყანაში. ბაქოში საბჭოთა ძალაუფლების დამარცხების და ანტანტის მოვლინების შემდეგ საქართველოს მენშევიკები ვითომ მშვიდდებიან, ანარქიის ფეშაპისგან-ბოლშევიზმისაგან და კომუნიზმისგან მათ თავი გადარჩენილათ იგრძნეს და თამამად შეუდგნენ ჩვენს დევნას: ყოველგვარ ლეგალურ მუშაობის (პირველ რიგში პრესის) და ორგანიზაციების განადგურება დაიწყეს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სახელმწიფოს ფართე მასშტაბით დააარსეს „სპეციალურად ჩვენთან საბრძოლველად მეფის რეჟიმის პოლიციელებისაგან და ავაზაკებისაგან „სავანგებო რაზმი“.

1919—1920 წლების განმავლობაში ათასზე მეტი ჩვენი პასუხის მგებელი ამხანაგი გაუსამართლებლათ და გამოუძიებლათ იჯდა თფილისის და ქუთაისის ციხეების ნესტიან ხაროებში.

მხოლოდ 7—12 მაისში საბჭოთა რუსეთსა და „დემოკრატიულ“ საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობამ იხსნა ისინი. და როგორც ჩვენს პარტიას (მხოლოდ ახლა—წოდებულს კომუნისტურ პარტიათ საქართველოში, მანამდის ყოფილ ნაწილს რ. კ. პ.) ეძლევა ლეგალური არსებობის ფორმალური საშვალება.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ჩვენ საქართველოს კომუნისტებმა დაუყოვნებლივ გადავაკეთეთ ყოფილი კავკასიის კომიტეტი (რ. კ. პ.) საქართველოში კომუნისტურ ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტათ. მოვაწყვეთ ც. კ. და მსხვილ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, გადავწყვიტეთ პარტიის წევრების ხელახალი აღწერა და ახლების ჩაწერის დაწყება. მივიღეთ რეზოლიუცია მიმდინარე მომენტზე, რომელიც არკვევდა ჩვენს ლეგალურ არსებობას და პარტიის დღიურ წესრიგიდან შეიარაღებულ აჯანყების ლოზუნგის მოხსნის საჭიროებას და საერთოთ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულების ნიადაგზე დარჩენა გადავწყვიტეთ.

არც ერთ ჩვენი გაზეთების ნომერში, არც ქართულში, არც რუსულში არაა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგები. ჩვენი წევრთა სარეგისტრაციო ბიუროები არც ქალაქებში, არც სოფლებში ჩვენი ლეგალურ იდეური მუშაობის ინსტრუქციებს ოდნავათაც არ ღალატობდენ.

რასაკვირველია, ჩვენ დავრჩით რ. კ. პ. პროგრამით და საერთოთ მესამე ინტერნაციონალის პოზიციაზე. ქალაქების მასსები, რომლებიც ყრუთ გვითანაგრძნობენ, კიდევ არ მოდიოდენ ჩვენთან განსაკუთრებით დიდრონ ჯგუფებათ. მაგრამ სამაგიეროთ სოფლების ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობამ, რომელმაც გამოიარა 1918 წლის სტიქიური აჯანყებები, რომელიც სრულიად დარწმუნებულია მენშევიკების რევოლიუციისა და მშრომელ მასებისადმი ღალატში, ჩვენს პარტიაში ტალღებათ იწყო დენა. ჩვენი პარტიის ლეგალობის ნეტარების დღეები ერთი თვეც არ გაგრძელებულა. ძალავ შეუდგნენ მენშევიკები ჩვენი ამხანაგების დატუსაღებას და მათ დევნას. ისინი დარწმუნდენ, რომ ჩვენთვის ლეგალობა ფრიად ხელსაყრელია და მათთვის ნიადაგის გამომცლელი. მათმა ერთმა სოფლელმა კომისარმა ლეჩხუმის მაზრაში (ქუთ. გუბ.) ჩვენი ადგილობრივი სარეგისტრაციო ბიუროს დატყვევების დროს ორგანიზატორთან და 26 გლეხთან წამოაყრანტალა: „თქვენ ჰკუიდან ხომ არ იშლებით—მთელი ხალხი თქვენთან ეწერება, ჩვენ—კი რა?! სანამ ჩვენ ხელთა გვაქვს ვინტოვკა და ძალა-უფლება, ჩვენ თქვენ მაგის ნებას არ მოგცემთ, თუმცა თქვენ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არავითარი დანაშაულობა მიგიძღვით, მაგრამ თქვენი ლეგალური, იდეური მუშაობა ხვალვე მას (დამოუკიდებლობას) ძირს გამოუთხრის“ ო. ასეთია საქართველოს მენშევიზმის, ბ.ბ. ჩხენკელის, წერეთლის, ჟორდანიას და კომ. პ. კურსი კომუნიზმის, სოციალიზმის და მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კურსი. ისინი ემხრობიან ერთა ლიგას (მათ აქვთ თფილისში მისი განყოფილება) და ყვითელ ინტერნაციონალს. მათთან ბრძოლა—კლასიური საზოგადოება, რევოლიუციონური ომია.

მენშევიკების აგრარულ პროგრამით მოტყუებულნი ღატაკ გლეხების მასსები, მთელი პროლეტარიატი შეგნებულ ელემენტების მეთაურობით გულში ღრმათ ჩამარხული იმედით ელიან „ბოლშევიკების მოვლინებას“, თვით „ობივატელებიც“ კი შეჰნატრიან, რათა ისტორიამ დააჩქაროს თვისი განაჩენი, ვინაიდან ისინიც ბოლშევიზმს აუცილებლობათ რაცხავენ.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალაუფლებას პატარა საქართველოშიაც ისე, როგორც მთელს სამყაროში!

გაზ. „პრავდიდან“.

მ. ბარხოვი.

## შენიშვნები

Не любо—не слушай,
А врать не мешай!

17 სექტ. მუშათა სასახლეში გამართულა მორიგი წარმოდგენა—უკაცრავად: მორიგი საზეიმო მიღება ევროპიელ ძვირფას სტუმრების. გამრიგე-ორატორებათ გამოსულან ბ.ბ. დევდარიანი, ხელაძე, აბდუშელი, ჩხენკელი... თვით გაზეთის ფურცლებსაც კი, სადაც მოთავსებულია ამ „საქმიანი საუბრის“ ანგარიში, ასდის ბული ტრაბახობის და თავაწყვეტილ ბაქიაობის. ბ. დევდარიანი ხლესტაკოვისებური უდარდელობით არწმუნებს დელეგატებს, რომ პროფესიონალური ორგანოები, დამფუძნებელი კრება და მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი გაჟღენთილი არიან, აღფრთოვანებული არიან ერთი და იმავე იდეებით, იმ იდეებით რომლისთვის იბრძოდით და იბრძვით თქვენ, ვანდერველდ რენოდელ-გიუისმანსებო. დაავიწყდა კი ეხსენებია ის მეოთხე ორგანო, რომელიც არა ნაკლებ თუ მეტათ არა, ემსახურება „მათ“ იდეას და ურომლისოთ ვერც ერთი ორგანო, ნამეტურ პროფესიონალური კავშირები ვერ გაიჟღენთებოდენ ვერც „იდეით“ და ვერც მაგვარ ნივთიერებით: მკითხველი მიხვდება, რომ ეს ორგანო ის ფრიად პატივსაცემი და სათაყვანებელი დაწესებულებაა, რომლის ათასეული ოწყვილი თვალ-ყური და ნაგანოსანი ხელი მუშაობს ყველგან, დემოკრატიის სამეფოს ყოველ კუნჭულში, და რომლის აღმაფრთოვანებელი გავლენა კაი ხანია იგრძნეს მეტყავეებმა, მეტალისტებმა, ფარმაცევტებმა და სხ. და სხ.

ბ. ხელაძეს ჩვეულო საქმე უკისრებია—ეკონომიურ პოლიტიკაზე მასლაათი, და ენაც არ წაბორძიკებია, როცა ასეთი მარგალიტები გადმოუბნევია: 70 პროცენტზე მეტი საწარმოო დაწესებულებების (ალბად გუზგუზა ფაბრიკა-ზაოდები) ქართველ მუშების და გლეხების ხელშიაო! თუმცა არ დაუმალავს, რომ ჩვენებურ მუშებშიც იყვნენ ისეთი წრეები, რომლებიც ფიქრობდენ ეკონომიური ძალაუფლების ხელში ჩაგდებასო; ეს მცირე რიცხოვანი ჯგუფები გარიყა მუშათა კლასმაო (რომლის ხელში თითქმის ორი მესამედი წარმოება უკვე ახლა ყოფილა, ალბად არა მათ ეკონომიურად სამფლობელოთ, არამედ სულ სხვა მიზნებისთვის).

მაგრამ რეკორდი აუღია ბ. ჩხენკელს, თვით რენოდელიც კი სახტად დარჩენილა მის ნიჭიერების შემხედვარე. მას ასეთი „სპრავკა“ მიუცია დელეგაციისთვის: საქართველოში 14 წლამდის ბავშვთა მუშაობა აკრძალულიაო! და როცა რენოდელს უკითხავს: თქვენი გეგმით ბავშვები 11 წლამდის უნდა სწავლობდენ, და სანამ 14 წლის გახდებოდენ—სამი წლის განმავლობაში ქუჩის აკადემიას ხომ არ გადიანო?—ბ. ჩხენკელს წარბშეუხრელად უპასუხია: ასეთ ბავშვებზე ზრუნავს სახალხო უნივერსიტეტი და სკოლის გარეშე განათლების საზოგადოებაო!

ალბად დელეგაციას სავსებით გამორკვეულად მიუჩნევია დემოკრატიის სამოთხეში ცხოვრების სხვა და სხვა მხარეების შესანიშნავი სურათი და უდროოდ-ის გამო უთხოვნია წერილობით წარედგინათ მისთვის ეს ქმნილი ზღაპრები. განა არ გაქვთ გასახარი საქართველოს ღარიბებო? თქვენს შვილებს თურმე 11 წლამდის მაინც ასწავლიან (თუცა მენშევიკები მუდამ გპირდებოდენ 16 წლამდის სწავლებას, უფასო სასწავლო ნივთებით, ტანისამოსით და ცხელი საუზმებით!), შემდეგ სამ წელიწადს შენს საცოდავ შვილზე თურმე სახალხო უნივერსიტეტები და ასეთი დაწესებულებები ზრუნავენ დღე და ღამ, და მხოლოთ 14 წლისას თუ შეეძლება შენს შვილს ოფლის ღვრას შეუდგეს მწირი ლუკმის საშოვნელათ! გაიხარე მენშევიკების ქვეშევრდომო მოქალაქევ, თუ არ გეტირება!

ნავანი.

## საფრანგეთის სოციალისტები რუსეთის შესახებ

6 სექტემბერის „პრავდაში“ მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო კორესპონდეცია პარიჟიდან, რომელიც შეეხება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წევრების-მიერ ამხ. კაშენის და ფროსარის—პარიჟის ცირკში გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ მოხსენებას საბჭოთა რუსეთზე. „პირდაპირ ვიტყვი, სწერს კორესპონდენტი: არას დროს არ გვინახავს ისეთი აღელვებული, აღფრთოვანებული და რაღაც სცნობის მოყვარეობით გატაცებული სახით საზოგადოება, რომელიც გუშინ საღამოს პარიჟის ვეებერთელა ცირკში ჩვენი მეგობრების კაშენის და ფროსარის საბჭოთა რუსეთზე მოხსენებას დაესწრო.

საღ. 8 საათამდე მუშების მრავალ რიცხოვანმა მასსამ ცირკის ფართე დარბაზი აავსო: პარტერი და ქანდარები სულ ხალხით გაივსო. თუთხმეტი წუთის განმავლობაში არც ერთი თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა დაუკავებელი, იქამდის არც კიბეების საფეხურები

ბიბლიოთეკა

არც სკამების შუა ადგილები: ხალხი-კი სულ ემატებოდა და ემატებოდა.

საქმე იქამდის მივიდა, რომ, მიუხედავათ ჩვენი კრებების მუდმივ დამსწრეთა დახმარებით თვით კაშენმა და ფროსარმა ესტერდამდის ძლივს მიატანეს.

აი კაშენი და ფროსარი ესტრადაზე გამოჩნდენ: მთელი საზოგადოება ფეხზე დგება და მხურვალე გრძნობით ტაშს უძღვნის. ჰყვირიან: „გაუმარჯოს კაშენს და ფროსარს! გაუმარჯოს სადულს! გაუმარჯოს ლენინს! გაუმარჯოს საბჭოებს!“ და გაისმა ერთხმათ „ინტერნაციონალი“. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჟაკ სადული.

მოკლეთ მოგვყავს ფროსარის სიტყვა.

„ჩვენ მოვედით, რომ გადმოგცეთ ანგარიში, რომლის მოთხოვის უფლებაც თქვენ გაქვთ საფრანგეთის სოციალისტებისაგან, რომლებსაც პატივი და ბედნიერება ჰქონდათ მთელს ქვეყანაზე პირველი სოციალისტური რესპუბლიკის სტუმრები გამხდარიყვნენ.

პარტიისგან ჩვენ ორი დავალება გვქონდა: 1) კომუნისტურ ინტერნაციონალთან ურთიერთობა დაგვეკავებია, და 2) შესწავლა იმის, თუ რა გაკეთებულა რუსეთის საბჭოების მიერ სამი წლის განმავლობაში.

რუსეთის რევოლიუცია, როგორც 1989 წლის ჩვენი რევოლიუცია, კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას ჰქმნის. არ შეიძლება, რომ საფრანგეთის პროლეტარიატმა, 1893 წლის იაკობინელების, 1830 წლის მეამბოხეების, 1848 წ. ივნისის აჯანყებულების, 1871 წლის მარტის გმირთა-გმირების, კომუნარების შთამომავლობა ვერ მიხვდეს, რომ ყველა მათი რევოლიუციონურ ზნე-ხასიათის მემკვიდრე რუსეთი არის. ჩვენი რევოლიუციიდან რუსეთმა ბევრი რამ შეიძინა, ხოლო ჩვენ თვითონ კი მისგან ნაცარ-ტუტა შევინახეთ.

რაც ჩვენ ვნახეთ, იმაზე ცოტა რამეს მოგახსენებთ მხოლოდ, ვინაიდან ძალიან დიდი დროა საჭირო, რომ მთელი სურათი აგიწეროთ. ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ იმაზე, რომ ჩვენი ამხანაგები—ბალშევიკები წარმოუდგენელ მძიმე პირობებში, უსაზღვრო მსხვერპლით ანხორციელებენ სოციალიზმს. ჩვენ მოგვეცა საშუალება მოგვევლო რუსეთი, ჩავკვირებოდით და დავეთვალიერებია ყოველივე მხარე მისი მუშაობის და შემოქმედების. „ბალშევიკური სამოთხეა“, ირონიულათ გაიძახიან ჩვენი მოწინააღმდეგები. როგორი სიბრიყვე და უვიცობაა ამ სიტყვებში! აქ ლაპარაკია დიდ, ვეებერთელა ქვეყანაზე რომელმაც წარმოუდგენელ მძიმე პირობებში მოახდინა რევოლიუცია, ლაპარაკია პროლეტარიატზე, რომელმაც ძალაუფლება მაშინ აიღო ხელთ, როდესაც რუსეთი ეკონომიურათ სავსებით განადგურებული იყო და სრულს ანარქიას წარმოადგენდა, და რომელიც მთელი ქვეყნიერების მტრებთან ბრძოლაში სამი წელიწადია თავის არსებობას კბილებით იცავს. საბჭოები უდრეკელობის ინსტიტუტია, რომელიც აღმასრულებითი და კანონმდებლობითი უფლებებს აერთებს. ისინი ახორციელებენ საყოველთაო პასუხის მგებლობას და არჩეულებს მასსებთან პირდაპირ და მუდმივი კონტაქტის პირობებში აყენებს. საბჭოთა მართვა გამგეობის განვითარების ყველა საფეხურებზე, საბჭოების მიერ მუშათა და გლეხთა ბატონობა და მეთაურობა უზრუნველყოფილია“.

შემდეგ ფროსარი პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკობს.

„დიახ, რუსეთში დიქტატურაა. მაგრამ რაა სახელმწიფო. თუ არ მმართველი კლასის ორგანიზაცია, როგორც ამაზე ლაპარაკობს ლენინი, ე. ი. ძალადობის ორგანიზაცია. ძალადობა, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არის საშუალება მისი ჩამოშორების, მისი დათრგუნვის.

სამი წელიწადია, რაც ხაბჭოების ძალა-უფლება ხორციელდება. იგი არ ჩემულობს იმას, რომ რუსეთში უკვე კომუნიზმი არის. მან მხოლოდ ძველი წესწყობილება გაანადგურა, დაამსხვრია ძველი სახელმწიფო მანქანა და ნაციონალიზაცია მოახდინა: სხვილი წარმოების, დიდი მამულების, ბანკების, მაღაროების, მაღაზიების, მიწები გლეხებს გადასცა, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს და ამიერიდან ადამიანის გაყვლეფა შეუძლებელი გახდა. შრომა—კაცობრიობის არსებობის საუნჯე, ყველასთვის აუცილებელ ვალდებულებათ იქცა.

ამნაირად ფეხზე დგება ახალი ქვეყანა. იგი, თუმცა დიდ ტკივილებს და დაბრკოლებებს განიცდის, იზრდება, მაგრდება. მართალია, რომ რუსეთი შეწუხებულია სიმშილით, პირველ საჭიროების ნივთების უქონლობით, და შესაძლებელია, კიდევ უფრო შეწუხდეს. ანტანტის მიერ ალყის შემორტყმის გამო მას არ მოეპოვება, ბავშვებისთვის, მოხუცებულებისთვის, ქალებისთვის, ავათმყოფებისთვის უბრალო წამლები. მაგრამ ამ უზომო, წამებისთვის საბჭოთა ძალაუფლება როდია პასუხის მგებელი. მებაირახტრეები და ქალაქის და სოფლის პროლეტარები ყოველივეს გმირულათ იტანენ. ვინც ნამდვილი დამნაშავეა ამ საშინელებებში, ისინი საფრანგეთში სხედან. ჩვენი მმართველები და ჩვენი ბურჟუაზია, ჩვენს სასირცხვოთ, ახლა „ახალი „საღმრთო კავშირის“ სათავეში დგანან. ამაზე იციან რუსეთში. ამაზე ჩვენ ყოველგან გულმოშხამული გვიმეორებდენ! ჩვენ ყოველგან გვეკითხებოდენ: „რას შვრება საფრანგეთში პროლეტარიატი?.“

ამხანაგებო—მუშებო! მიუხედავათ იმისა, მოვახდენთ თუ არა ხვალ ჩვენ რევოლიუციას, შევქმნით თუ არა საბჭოებს, ჩვენ უნდა დავეხმაროთ რუსეთის პროლეტარიატს არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმით.“

# აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

### მესამე სხდომა

4 სექტემბერს, დილის 10 საათზე დანიშნული სხდომა 11 ნახ. საათზე გაიხსნა, შედარებით, დელეგატების უფრო მცირე რიცხვის დასწრებით და თითქმის კერძო ხალხის სრულიად დაუსწრებლათ.

პირველად ორატორი უპარტიოთა ჯგუფიდან გამოდის. იგი—თურქესტანის დელეგატია, რუსული ენის მშვენივრათ მცოდნე და შესანიშნავი მჭერმეტყველი.

მისი გამოსვლის საგანი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების მოქმედებათა გაკრიტიკებაა ყოველგან საერთოთ და განსაკუთრებით—კი, თურქესტანში.

იგი ამტკიცებს რა, რომ აღმოსავლეთის ტანჯული ხალხები უეჭველად ნდობით შეჰყურებენ საბჭოებს, რომ ისინი საბჭოთა ძალაუფლებას მარად დაიცავენ და დაეხმარებიან, სანამ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ფეხზე დადგებოდეს,—აცხადებს, რომ აღმოსავლეთის მართვა-გამგეობისათვის საჭიროა მისი ცხოვრების ჩაკვირვება და მისი თავისებურებათათვის მკაფიოთ ანგარიშის გაწევა. მაგრამ ზოგი ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ყოფილი კოლონიზატორები, რომლებიც ახლა კომუნიზმის ქურქში არიან გამოხვეული, სთესენ ეროვნულ შუღლს და აძულებენ ხალხს მშრომელთა მთავრობას, ისინი უნდა გაძევებულ იქნენ.

თავისი სიტყვის დასასრულ ორატორი ამბობს: გაუმარჯოს აღმოსავლეთის ტანჯულ ხალხებს, გაუმარჯოს ნამდვილ კომუნისტებს; გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის მებაირახტრეებს—ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს და სხვებს.

ამ ორატორის შემდეგ გამოდიან სხვები, რომლებიც მის შენიშვნა-განცხადებებს უარს ჰყოფენ.

სხდომა 3 საათზე დაიხურა.

### 4 სექტემბერს, საღამოს.

სხდომის დარბაზი და მსმენელების ადგილები სავსეა.

სხდომის წინ თავმჯდომარემ—ამხ. ზინოვიევმა გამოაცხადა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება—ყრილობის 9 სექტემბერს დათავების შესახებ და ყრილობის მუშაობის დასაჩქარებლათ ზომების მთელი რიგი, როგორც, მაგ.: ორატორების და მთარგმნელების სიტყვების შემოკლება, გადათარგმნა მხოლოთ ოსმალურ და სპარსულ ენებზე და სხ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრეზიდიუმის წინადადებაა მის შემადგენლობაში შევიდეს კიდევ ორი დელეგატი—ქალი.

შემდეგ გრძელდება კამათი მოხსენებაზე საერთაშორისო მდგომარეობის და აღმოსავლეთის ხალხთა მდგომარეობის შესახებ.

ინგლისის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი ამხ. კველჩი, თავის სიტყვას იწყებს ციტატით მარქსიდან იმის შესახებ, რომ ინგლისის მუშები თავისუფალი იქნებიან მაშინ, როდესაც ინგლისის კოლონიების ხალხები იქნებიან თავისუფალი. ინგლისის მუშების მტრებია, ამბობს ორატორი,—ინგლისისვე კაპიტალისტები—იგივე თქვენი მტრები. ამისთვის—ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლა—არის თქვენი ბრძოლაც. ინგლისის კაპიტალი, როგორც საშინელება რამ, გაუმაძღარია, მისწრაფის ახალი დაპყრობისაკენ. ამის წინააღმდეგ ინგლისის მუშები ყოველ თავის ყრილობებზე პროტესტს აცხადებდენ და ხალხების თავისუფლებას და თვით გამორკვევას მოითხოვდენ (ტაშის გრიალი). მალე დადგება დრო, როდესაც ინგლისის მუშები თქვენ უფრო აქტიურ დახმარებას გაგიწევენ.

დაახასიათა რა საბჭოთა რუსეთსა და ინგლისის შორის ამ ჟამათ წარმოებული მოლაპარაკებები, ამხ. კველჩი ამბობს, რომ ეს მოლაპარაკებები რუსეთის პროლეტარიატისთვის მომავალ ბრძოლის ახალ პოზიციებათ გადაიქცევიანო. და ეს ყრილობა კი აღმოსავლეთის ხალხებს რუსეთის პროლეტარიატთან ხელიხელ ჩაკიდებული გამარჯვებამდის მიიყვანს.

ორატორი თავის სიტყვას ათავებს: „ძირს იმპერიალიზმი! გაუმარჯოს რ. ს. ფ. ს. რ.! გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას!.“

ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენელს მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციებით აჯილდოვებენ. აქ აღმოსავლეთის მშრომელ მასსების და დასავლეთის მუშების რევოლიუციონურ ერთიანობას ეყრება მტკიცე საფუძველი.

ინგლისელის შემდეგ საფრანგეთის მუშების დელეგატი—ამხ. როსმერი გამოდის. დაახასიათა რა ყალბი და დაპირებანი და მტაცებლური არსება იმპერიალიზმის, საფრანგეთის პროლეტარიატის სულიერი განწყობილება და მისწრაფება მთელი ქვეყნის მშრომელ მასსებთან ერთად კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში, ორატორი მოუხმობს, აღმართონ კაპიტალისტურ ქვეყნის წინააღმდეგ საღმრთო ომის დროშა და მჭიდრო კავშირი იქონიონ რუსეთის პროლეტარიატთან. უკანასკნელი მოწოდება დიდი აღფრთოვანებით იქმნა ყრილობის მიერ მიღებული.

ბულგარეთის კომუნისტების წარმომადგენელმა ამხ. შაბლინმა წარმოსთქვა მოკლე მისალმების სიტყვა და განაცხადა, რომ ბულგარეთის მშრომელი მასსები იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისთვის მზად არიან. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია სიტყვის დასკვნაში ოსმალურ ენაზე მოწოდებამ.

ამ სიტყვების შემდეგ ამხ. ზინოვიევი მოახსენებს ყრილობას ენვერ-ფაშისგან და ანგორას სახალხო მთავრობის წარმომადგენლის განცხადებებს.

კითხულობენ ენვერ-ფაშის და ანგორას მთავრობის წარმომადგენლის იბრაგიმ ხალილის განცხადებას.

ამხ. ბელაკუნმა წაიკითხა ამ განცხადებების შესახებ პრეზიდიუმის მიერ წამოდგენილი რეზოლიუცია. რომელიც ყრილობის მიერ მიღებული იქნა.

შემდეგ ყრილობამ დაადგინა გამოუშვას ორი მოწოდება: 1) აღმოსავლეთის ხალხებს—ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საღმრთო ომის გამოცხადების შესახებ; 2) მთელი ქვეყნის მუშებს სასწრაფო დახმარება აღმოსავლეთს.

სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

### 6 სექტემბრის სხდომა

სხდომა ამხ. ბელაკუნის მოხსენებით აღმოსავლეთში საბჭოთა აღმშენებლობაზე—დაიწყო. მოხსენება 15 წუთს გაგრძელდა. შემდეგ ამხ. ოსტროვსკიმ გამოაქვეყნა თეზისები, რაც ყრილობამ მიიღო. აღმოსავლეთ. საერთო აღმშენებლობის ხასიათი აღმოსავლეთში ისეთი იქნება, როგორიცაა რუსეთში და ადერბეიჯანში. არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალაქის პროლეტარიატი ძალიან ცოტაა, ამისთვის, საბჭოთა მთავრობის სიმძიმის ცენტრი, რომელიც ჩვენში დაყრდნობილია ქალაქის პროლეტარებზე, აღმოსავლეთში დაეყრდნობა გლეხებს. გეგმონია სახელდობრ მათ ეკუთვნის.

მეორე მოხსენება-აგრარულ საკითხზე ამხ. სკაჩკოვმა გააკეთა. მომხსენებელმა ეკონომიური და პოლიტიკური მხრით ფართოთ გაშუქა საკითხი. იგი ხატავს გლეხების მდგომარეობას ოსმალეთში და სპარსეთში, სადაც თითქმის მთელი მიწები მემამულეების ხელშია. გლეხების მდგომარეობა აუტანელია. ისინი თითქმის მთლათ მემამულეებისთვის მუშაობენ. ზოგიერთ ადგილებში 80 პროც. ჭირნახულისა მუქთა-ხორა მემამულეს მიაქვს. ეს სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერებაზე დამაქვეითებელათ მოქმედობს. ოსმალეთის ნოყიერი მინდვრების რაციონალური დამუშავება გამოკვებავდა ხოლმე 100 მილიონ მცხოვრებს, სინამდვილეში კი დიდის ვაივაგლახით ჰკვებავს 20 მილიონს, ასეთივე მოვლე-

## რით აიხსნება რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის ადვილად გამარჯვება?

ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთის ეკონომიური სინამდვილე, მისი საწარმოვო ძალთა განვითარების დონე, მისი ტეხნიკური ხიადაგი საკმაოდ შემზადებული ყოფილა სოციალისტური აღმშენებლობის დასაწყებად, საზოგადოებრივ წარმოებაზე გადასასვლელად. მაგრამ ასეთი აღმშენებლობის დაწყების აუცილებელი პირობაა, მარქსიზმის მოძღვრებით, პროლეტარიატის დიქტატურა, რაც კლასთა ურთიერთობის, მათი რევოლიუციონური ქიდილის, მათი სამოქალაქო ომიანობის გამომხატველი და შედეგია. თავის კლასიურ დიქტატურის—ე. ი. პროლეტარულ სახელმწიფოს—მთელს შემმუსვრელ ძალას მშრომელნი მიმართავენ ბურჟუაზიის და ყველა მყვლეფელთა გააფთრებულ წინააღმდეგობათა ჩასაქრობათ, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოების განსაზოგადოება, კლასების გაუქმება, ერთი დიდი შრომის საზოგადოების შესაქმნელად და დასამკვიდრებლად. როგორი იყო კლასთა შორის ურთიერთობანი რუსეთში? რა უპირატესობა ქონდა რევოლიუციონურ კლასს—პროლეტარიატს, კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში?

სხვა ადგილას ჩვენ უკვე საკმაოდ დავახასიათეთ რუსეთის პროლეტარიატი, როგორც რევოლიუციონური ძალა, როგორც ერთად ერთი მამოძრავებელი ძალა რუსეთის რევოლიუციის, მისი წინამძღოლი, მისი გეგემონი წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუც. ბურჟუაზიისა და რეაქციონურ მემამულე-პომეშჩიკებისა (იხ. ჩვენი წერილები: „ევროპიელ ამერიკელი და რუსი მუშა“.) რუსეთის პროლეტარიატი ძლიერ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენდა, და უნდა ყოფილიყო კიდეც ასეთი იმ თავისებურ ისტორიულ პირობათა მიხედვით, რომლების ზეგავლენით წარმოიშვა, გამაგრდა და ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ის. ამას აღიარებდენ, ამას ადასტურებდენ ყველა ევროპიელი მარქსისტი, მათ მისაბაძ მაგალითად გამოყავდათ რუსეთის რევოლიუციონერი-პროლეტარი, მასზე მიუთითებდენ ევროპის და ამერიკის პროლეტარებს მაგრამ რუსეთის პროლეტარების შედარებითი ძლიერება ანარეკლი იყო აგრეთვე მისი მოწინააღმდეგის—რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტის. ეს ბურჟუაზია თავიდანვე სისხლნაკული დარჩა, მან ვერ შესძლო და ვერც შესძლებდა ძლიერ კლასათ ჩამოყალიბებას. ის 50 წლის დაგვიანებით გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე და იმ თავითვე შეეფეთა ამავე ასპარეზზე გამოსულ რევოლიუციონურ და სოციალისტურ რუსეთის პროლეტარიატს. მას აღარ შეეძლო ამ კლასის პოლიტიკური ვარყვნა ან ექსპლოატაცია. და თითონაც, მზგავსათ თავის მოძმეებისა დასავლეთ ევროპაში, რეაქციის მატარებელი შეიქნა, თვითმპყრობელობის კალთებს შეაფარა თავი, ხელი აიღო საკუთარი კლასის ტრადიციულ ისტორიულ მოწოდებაზე—ჟუჟაგდო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის მოთავეობა, მისი ბოლომდის მიყვანა. საკუთარ კლასობრივ ციხესიმაგრეს მოკლებული, საკუთარ კლასობრივ ორგანიზაციის არ მქონე რუსეთის ბურჟუაზია ადვილი დასამარცხებელი გახდა. თუ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია უმაგრეს კლასიურ ორგანიზაციებში იყო ჩამჯდარი, თუ მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მას თავის კლასობრივ ინტერესების დასაცავათ ქონდა მომართული და ამასთანავე მუშაოა კლასშიაც მას ყავდა მრავალი თავისი აგენტი, რომლებიც ახერხებდენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ენერგიის მოდუნებას, მის ბასრ კბილის დაჩლუნგებას და ყურადღების სულ სხვა მხრისკენ გატყუებას,—რუსეთის ბურჟუაზიას არც ერთი და არც მეორე ბედნიერება არ ღირსებია: მის უძლურ კლასობრივ ორგანიზაციას უპირდაპირდებოდა სოციალისტური პროლეტარიატის მძლავრი, მოქნილი კლასობრივი პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციები, შეიარაღებულნი დასავლეთის გამოცდილებით, ბრძოლის უკანასკნელ ტეხნიკით და საბრძოლველ იარაღის მთელი არსენალით. გერმანიის ბურჟუაზიამ თავისი მოხალისე სოციალ-მოღალატე ნოსკების დახმარებით შედარებით იოლათ მოიგერია პირველი თავდასხმა რევოლიუც. პროლეტარიატის, რუსეთის ბურჟუაზია კი მთელი შემთანხმებელთა კუდით პროლეტარიატის მეორეჯერი შეტევისთანავე არარაობათ იქცა, ვისმა ნაყარ-ნუყარმა მეფის გენერლების ბანაკში ძლივს მოასწრეს თავის შეფარება. ამერიკის ბურჟუაზია, რომელიც უძლიერეს ეკონომიური ბატონობის იარაღითაა აღჭურვილი, რომელსაც დარაჯობს მისი აღმასრულებელი კომიტეტი დემოკრატიული სახელმწიფოს და მთავრობის სახით, მაინც თავდარიგს იჭერს ახლავე და ყოველ მაღაზიას, ყოველ სახლის სახურავს, ქარხანას და სავაჭრო გემს ამაგრებს პულემიოტებით და ბომბომიოტებით, თითონაც ხორკლიან ჯავშანში ჯდება. ასეთი რამ შეუძლებელი, წარმოუდგენელი იყო რუსეთის ბურჟუაზიისათვის.

თანამედროვე საზოგადოების ორ მოწინააღმდეგე პოლიუსის ურთიერთობა ხელსაყრელი იყო რუსეთის პროლეტარიატისათვის: მისი მოპირდაპირე კლასი, ბურჟუაზია მასთან შედარებით სუსტი იყო. მარა რუსეთი ხომ უმეტეს ნაწილად გლეხური ქვეყანაა. გლეხობა კი, რომელიც თუმცა მოკლებულია დამოუკიდებელ რევოლიუციურ ინიციატივის და ბრძოლის უნარს, მაინც უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე რევოლიუციაში: იმისდა მიხედვით, თუ ვის სასწორზე დაეშვება მისი სიმძიმე, ბოლოს და ბოლოს ის გაიმარჯვებს. რეაქციას მიეკედლება რუსეთის გლეხობა, თუ რევოლიუციას?—ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი იყო რუსეთის სინამდვილეში რევოლიუციის გამარჯვება-დამარცხებისათვის. ისტორიული თავისებურება რუსეთისა სხვათა შორის იმაშიაც გამოიხატებოდა, რომ ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში პროლეტარული რევოლიუცია ბურჟუაზიის დასამხობათ მოხდა იმავე დროს, როცა დღის წესრიგში იდგა გლეხური რევოლიუცია მემამულე პომეშჩიკების დასამხობათ. კ. მარქსი ჯერ კიდევ 1856წ. პრუსიის შესახებ სწერდა, რომ შესაძლებელია პროლეტარული რევოლიუცია თავისებურათ შეუდუღდეს გლეხთა ომსო (იხ. ხსენებული სტატია ნ. ლენინის, რომლის საბუთებით ვსარგებლობთ აქ ჩვენ). ბალშევიკები 1905 წლიდან მოკიდებული ქადაგობდენ და იბრძოდენ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლიუციონურ დემოკრატიულ დიქტატურისათვის. მთელი გლეხობა ებრძოდა თვითმპყრობელობას და მემამულეთა პრივილეგიებს. როცა ეს პირველი საფეხური გავლილი შეიქნებოდა, გლეხობაც უფრო მკაფიოდ დაიყოფოდა კლასიურად: სოფლის კულაკები ბურჟუაზიის ბანაკში მოექცეოდა, საშუალო გლეხობა ნეიტრალურ პოზიციას დაადგებოდა, ხოლო ულარიბესი გლეხობა და სოფლის პროლეტარიატი ქალაქის პროლეტარიატის რაზმებს მიეკედლებოდენ. ასეც მოხდა—სოფელმაც განიცადა, დაგვიანებით რასაკვირველია, თავისი ოქტომბრის რევოლიუცია, პროლეტარულმა რევოლიუციამ იქ ჰპოვა მრავალრიცხოვანი მოკავშირე, და ამ გარემოებამ უძლეველი გახადა ქალაქის პროლეტარული რევოლიუცია, მით უფრო, რომ იმპერიალისტური, ბურჟუაზიული ომის უმთავრესი სიმძიმე აწვებოდა გლეხობას და მისი შვილებიც, ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმულნი, მიეკედლენ მუშურ რევოლიუციას, რითაც ბევრი დაბრკოლება ჩამოეცალა პროლეტარიატს მის მსვლელობაში ბურჟუაზიულ რევოლიუციიდან სოციალისტურისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნს აქვს ადგილი სხვა ქვეყნებშიაც, ხივაში, ბუხარაში, სადაც მიწათმოქმედებაში საზღვარგარეთელი მტაცებლები უშუალოთ ჩაერიენ.

ასეთ მდგომარეობაში გლეხები პირველყოვლისა, უნდა განთავისუფლდენ საზღვარ-გარეთელ მჩაგვრელების ულიდან და თავისი ძალა-უფლება დაამყარონ. შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოსპონ ფეოდალურ ურთიერთობის ყოველგვარი კვალი.

მთელი მიწები უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და გამოუსყიდავათ გლეხებს გადაეცეს თავისი ინვენტარით და მუშა საქონლით. მხოლოდ, შრომის ნაყოფიერობა რომ გაიზარდოს, ამისთვის გლეხობა თანდათან უნდა გადავიდეს მიწების კოლექტიურათ დამუშავების წესზე. უნდა მოიხმაროს სხვილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. აგრეთვე სახელმწიფო მიწები, რომლებიც იგივე მემამულეებს ეკუთვნის, და სავოკუფო მიწები, რომლებიც სამღვდელოებას მემამულეების მდგომარეობას ანიჭებს, უნდა გადაეცეს გლეხებს.

დაუყოვნებლივ ყოველგვარი გადასახადები უნდა მოისპოს და მის მაგიერ უნდა შემოღებულ იქნეს პირნახულის აკრეფა ქალაქის მშრომლებისათვის, რომლებიც თავის მხრივ აძლევს სოფლებს თავისი შრომის ნაყოფს. ეს აკრეფა გლეხთა საბჭოებას მიერ ხდება.

შემდეგ, სასწრაფოთ უნდა მოხდეს ანულიაცია გლეხების ვალების როგორც კერძო პირებისაგან, ისე სახელმწიფოსაგან.

ამ პროგრამის სისრულეში მოყვანის შემდეგ იწყება გლეხებისადმი სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება, კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა. ამასთან ერთად აუცილებელია კერძო სპეკულიაციის სალიკვიდაციოთ მომხმარებელთა კოოპერაციის გაძლიერება. აი ეს არის გზა კომუნისტურ წყობილებაზე გადამავალი.

გლეხებმა კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკური განთავისუფლება კიდევ არ ნიშნავს სრულს თავისუფლებას. პოლიტიკურ განთავისუფლებას მაშინვე უნდა მოყვეს ეკონომიური განთავისუფლებაც. საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს რომ საშვალება მიეცეს აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეხის მოკიდების, მაშინ იგი სოფლებშიც შევა, დაიწყება ხანგრძლივი პროცესი გლეხთა პროლეტარიზაციისა და კაპიტალის პირველ დაწყებითი დაგროვებისა. ჩვენ ამას უნდა ავცილდეთ.

აღმოსავლეთის გლეხობა განთავისუფლებას საბჭოთა რუსეთთან მტკიცე კავშირით მოიპოვებს. მომხსენებელს ოვაციებს უმართავენ. სხდომა დასრულდა. შემდეგი სხდომა იქნება უკანასკნელი.

**ყრილობის შემადგენლობა ეროვნების მიხედვით იყო:**

ქართველი 100, სომეხი 157, უზბეკი 15, თურქმენი 35, ოსმალო 235, სპარსელი და ფარსი 192, ბაშკირი—1, პოლიაკი 5, უნგრელი 3, არაბი 3, კალმიკი 3, ხაზარი 11, გერმანელი 3, ქურთი 8, ლეკი 25, ჯამშიტი 12, ებრაელი 41, ქართველი მუსულმანი (აჭარიდან) 10, სარტი 10, ყირგიზი 47, ტაჯიკი 61, ინდოელი 14, ხორვატი 1, კუმიკი 33, ოსი 17, აფხაზი 2, უკრაინელი 1, ჩინელი 8, კორეიელი 3, ავარელი 7, ტეკინელი 2, ჩეჩნელი 82, ინდუში 13, რუსი 104, თავისი ეროვნება ანკეტაში არ განუცხადებია 266 დელეგატს. 100 კაცს ანკეტა არ დაუბრუნებია. თავი მოიყარა სულ 1891 დელეგატმა, მათში 1273 კომუნისტი იყო, 55 ქალი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**სრულიად რუსეთის კონფერენცია რ. კ. პ.**

**მოსკოვი,** 23 სექტემბერი. 22 სექტემბერს სრულიად რუსეთის კომ. პარ. კონფერენცია გაიხსნა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, კამენევი, ტომსკი და რადეკი.

კონფერენციას მიესალმა ვარშავიდან ახლად ჩამოსული პოლონეთის კომუნისტი. ლენინის მოხსენების შემდეგ გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც გააკეთა მოხსენება თავის ლონდონში ყოფნის შედეგებზე.

ამხ. ტროცკიმ ფრონტის მდგომიარეობაზე გააკეთა მოხსენება.

**პროლეტარული საერთაშორისო ერთსულოვნება**

**რეველი** 2 სექტემბერი. ევროპის ყველა ქვეყნებში, საფრანგეთის და გერმანიის ზოგიერთ ოლქების გარდა, ნიშნათ საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძნობისა ელიან ერთი დღის გაფიცვას. გაფიცვა მოეწყობა 25 სექტემბერს: ამ დღეს ყოველგან მანიფესტაციები გაიმართება საბჭოთა რუსეთის ცნობის მოთხოვნით.

**საფრანგეთის მოთხოვნილებანი.**

**რიგა,** 22 სექტემბერი. საფრანგეთის მთავრობა შეძრწუნებულია იმის გამო, რომ, თუ რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავი ჩამოვარდა, წითელი არმია მიმართული იქნება ვრანგელის წინააღმდეგ, რომელსაც არ ყავს მოკავშირეები. ამიტომ საფრანგეთი მოითხოვს, რომ ზავის ჩამოგდებისას პოლონეთმა საბჭოთა რუსეთიდან ვრანგელის ხელუხლებლობის ყოველგვარი გარანტია მიიღოს. ამ გარანტიების ქვეშ საფრანგეთი გულისხმობს წითელ არმიის სრულს დემობილიზაციას და თავის მხრივ სთანხმდება პოლონეთის ჯარების დემობილიზაციაზეც. მხოლოდ ამ პირობის ასრულება დაამშვიდობებს საფრანგეთს, ვინაიდან ეს პირობა გადაარჩენს სამხრეთ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებს, რომლებმაც ბოლშევიზმისგან დაცვაში დიდი სამსახური გაუწია ევროპას.

**მუშური რევოლიუცია იტალიაში.**

**ბერლინი,** 18 სექტ. იტალიის მუშათა კომიტეტმა კონფისკაცია უყო ეკონომიურ ფრონტის საჭიროებისათვის მეოთხედ მილიონ ლირს, რომელიც ავტო-ფაბრიკა „ფიატ"-ს ეკუთვნოდა.

ყოველგვარ ჯარის ნაწილებიდან იტალიის სოციალისტურ გაზეთების რედაქციებში მუშები შემოდის.

**განსაკუთრებული კონტროლი.**

**ოდესა,** 20 სექტ. გერმანიის მთავრობის წარმომადგენლობამ ვენაში გერმანიიდან მოსკოვში მიმავალ რუმინელ სოციალისტების პასპორტის სპეციალური გადაშინჯვა მოითხოვა.

**უმუშევართა დემონსტრაცია.**

**ნაუენი,** 22 სექტ. ბერლინში გერმანიის კომუნისტებმა დიდი უმუშევართა დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაციის დროს ორატორები მკაცრათ ესხმოდენ დამოუკიდებელთა მეთაურებს მათ უარყოფითი განწყობილებისათვის წითელ ინტერნაციონალთან.

**მესამე ინტერნაციონალის მოწოდება იტალიის პროლეტარიატისადმი**

**მოსკოვი,** 13 სექტ. (რადიო) კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მიმართვა გამოაქვეყნა იტალიის მუშებისადმი:

„იტალიაში გაფიცვის, აჯანყების და მუშებისგან მასიურათ ფაბრიკებისა და ქარხნების, ხოლო ღარიბთაგან სახლების დაკავების ტალღა აზვირთდა. იტალიის ბურჟუაზიას უნდა ხელთ ჩაიგდოს ეს მოძრაობა და გზა შეუკრას მის განვითარებას, რომ ამნაირათ მუშების და გლეხების საქმე სამუდამოთ დაღუპოს.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი გეუბნებათ თქვენ:

ამხანაგებო, მუშებო! ფაბრიკებისა და ქარხნების დაკავებით მარტო თქვენ ვერ მოიპოვებთ გამარჯვებას, ბურჟუაზია თქვენ მოგისპობთ ნედლ მასალას, ბაზარს და საქინლის გასაღებას, საშუალებას. საჭიროა ეს მოძრაობა საყოველთაო აჯანყებამდე გაიზარდოს, რომ დამხობილ იქნას ბურჟუაზია და ძალა უფლება მუშათა კლასმა თვით აიღოს ხელთ, იტალიისთვის საჭიროა **პროლეტარიატის დიქტატურა.** მხოლოდ ამაშია თქვენი ხსნა, სხვა გზით კი თქვენ მიერ მშვენივრათ დაწყებულ მოძრაობას დაეცემა და გაკოტრება მიელის, კრახი აუცილებელია. იტალიის სოციალისტური პარტია უნდა გახდეს კომუნისტური პარტია. თქვენ უნდა გყავდეთ ხელმძღვანელი გენერალური შტაბი მუშათა დეპუტატების საბჭო—რომელსაც მეთაურობას გაუწევენ კომუნისტები.

ჩამოიშორეთ გზიდან მერყევი გამცემლები.

გაუმარჯოს იტალიის მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს იტალიის შეიარაღებულ პროლეტარიატს!

**არ დაჰყრიან იარაღს.**

**გროზნო,** 19 სექტემბერი. გროზნოში მშრომელი ჩეჩნების ყრილობა მიესალმა საბჭოთა რუსეთს და გმირულ წითელ არმიას, რომელმაც გაანთავისუფლა ისინი მშრომელთა მაჯლაჯუნა-სულის შემხუთავისაგან—დენიკინის დევნისა და დამცირებისაგან. ყრილობა ფიცს დებს, რომ არ დაჰყრიან იარაღს, სანამ სრულიად არ განადგურდება მშრომელთა ყველა მტრები.

# უკანასკნელი ცნობები

22 სექტემბერი.

**ხაზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.**

**მოსკოვი,** 23 სექტემბერი. 21 სექტემბერს რიგაში კონფერენციის პირველი სხდომა გაიხსნა. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა—მეეროვიჩმა კონფერენციის გახსნის წინ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანობის აღდგენაში დაინტერესებულია არა მარტო მეომარი სახელმწიფოები და მათი მეზობლები, არამედ მთელი ევროპაც. რაც უნდა რთული ამოცანები არ იქნეს, რომელიც ჩვენ უნდა გადავჭრათ,—მკვიდრი და კანონიერი ზავის ჩამოგდება მიღწეული იქნება. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც ამ სხდომას თავმჯდომარეობდა, საპასუხო სიტყვაში ამბობს, რომ პოლონეთის დელეგაციის მუშაობას საფუძვლათ დაედება ხალხის თავისუფლების და ბუნებრივ უფლებებისადმი პატივის ცემა. რუსეთ უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. იოფე ლატვიის მინისტრისადმი საპასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ იგი ლატვიის მშვიდობიანობის მიყვარეობაში დარწმუნდა, რომელიც რიგაში ისეთ ატმოსფერას ჰქმნის, რომელიც ხელს უწყობს საჩქაროთ ზავის ჩამოგდებას პატიოსანი, ყველასათვის მისაღები ზავი, ზავი გამარჯვება—დამარცხების გარეშე ჩამოგდებული, ზავი შეთანხმების, და არას გზით ძალადობის- სამი წელიწადია ჩვენს პროგრამის ცენტრს შეადგენს.

დომბსკი აცხადებს, რომ კრება გახსნილია და წინადადებას იძლევა, რომ ორთავე მხარემ ერთმანეთს გადასცეს რწმუნებულობის დოკუმენტი, რაც ცოტა ხნის განხილვის შემდეგ სარწმუნოთ ცნობილ იქნა.

**იტალიის ამბები.**

**ბერლინი,** 18 სექტემბერი. იტალიის მუშები მათ მიერ დაპყრობილი ფაბრიკა-ქარხნების პატრონების ექსორიას (გაძევებას) მოითხოვენ. მუშების მიერ დაპყრობილ ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერება ახლა უფრო ინტენსიურია, ვიდრე წინათ იყო. ლითონის მრეწველობა ორი თვის საყოფ ნედლი მასალით უზრუნველყოფილია.

# ახალი ამბები

პარასკევს, 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე საავადმყოფო კასების შენობაში ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობა იწვევს თათბირს წარმოების შინაგან კომიტეტების (ავტონომიური კომისია) ყველა წევრებს, რომელნიც შედიან საავადმყოფო კასაში. დღის წესრიგი: 1) სოციალური დაზღვევა და საავადმყოფო კასები; 2) ინსტრუქცია წარმოების შინაგან კომიტეტების (ავტ. კომისია) წევრებისთვის; 3) წარმოების შინაგან კომიტეტების (ავტ. კომისიების) როლი მოსალოდნელ ეპიდემიის (შავი ჭირი და ხოლერა) წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თათბირზე დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისათვის (ავტონომიური კომისიების). საავადმყოფო კასის მისამართი: მუშათა სასახლე, მესამე სართული.

# ვ. როზანოვის (ენზისის) ბედი

აგვისტოს დამლევს მოსკოვში უმაღლეს რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გაარჩია საქმე ეგრედწოდებულ „ტაქტიკური ცენტრის". ეს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია თავის გარშემო აერთიანებდა რუსეთში და საზღვარგარეთ არსებულ სხვა და სხვა რეაქციონურ ჯგუფებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად, „ნაციონალური ცენტრი", „საზოგადო მოღვაწეთა საბჭო", „რუსეთის აღდგენის კავშირი" და სხვა. როგორც ვიცით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების მოღალატობრივი მოქმედებებით,—რაიც გამოიხატებოდა აჯანყების მოწყობაში, ტერორისტული აქტების მოხდენაში, რკინის გზების, ფაბრიკა-ქარხნების აფეთქება-განადგურებაში და სხ.—მუშების და გლეხების ბევრი ზედმეტი

---

რაკი უმთავრეს კლასთა ურთიერთობა ხელსაყრელი დარჩა პროლეტარულ რევოლიუციისათვის, საშუალო მერყევ ელემენტების მიმხრობა თუ დამორჩილება ადვილი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ მხრივ ბევრი რამ მოულოდნელი მოხდა. მაგალითად, ინტელიგენცია, რომელიც წინეთ პროლეტარიატს მასწავლებლათ ევლინებოდა და სოციალიზმის წყაროს აზიარებდა, პროლეტარულ რევოლიუციის ნაპერწკლების ავარდნისთანავე შეებრძოლა წელში გამართულ და თავის საკუთარი კლასის დიქტატურის დასაპყრობად ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატს. მარა ამათო, მალე იძულებული შეიქნა ინტელიგენცია თითი მოეკაკვა და მუშურ გლეხურ სახელმწიფოს სამსახური დაეწყო.

ნაკლებ მოულოდნელი, მარა მაინც მოულოდნელი იყო ყოფილ სოციალისტების—მენშევიკ-ესერების ნაწილად კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასვლა, ნაწილად კი „დემოკრატიულ" ოპოზიციის საბუდარში ჩაჯდომა. მაგრამ რევოლიუციის უროსა და რეაქციის გრდემლს შუა ესენიც მალე გაისრისენ პოლიტიკურათ, ხოლო მათგან გადარჩენილმა თეთრმა ყვავებმა იწყეს საკუთარი საბუდარის მიტოვება, პროლეტარულ სახელმწიფოს სამსახური და ცოტა დაგვიანებული ქადაგება: სოციალისტური რევოლიუცია უკვე დაიწყო ევროპაში.

მაშასადამე რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას შინაობაში საიმედო კლასობრივი დასაყრდნობი ნიადაგი ქონებია. რევოლიუციის ალგებრის ამოცანები დროული და შედარებით ადვილი გასარკვევი ყოფილა მისთვის.

მაგრამ კიდევ ზოგი გარემოება აადვილებდა რუსეთის პროლეტარიატის და მისი მოკავშირე—ღარიბი გლეხობის ბუმბერაზულ დატაკებას ძველ, დრომოჭმულ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

რუსეთში რევოლიუციამ დაიგვიანა თითქმის 50 წ. მეტი. ცხოვრების განვითარება კი არ იცდიდა, წინ მიისწრაფოდა და რაც, ვთქვათ 1848 წ. მოსათმენი იყო რუსეთის მშრომელთა მასსებისათვის. აუტანელი, საწყევ-საკრულავი გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში გათვითცნობიერებულ, სხვის ბრძოლას გაცნობილ და საკუთარის მაწარმოებელ პროლეტარულ და საერთოდ მშრომელთა რაზმებისათვის. რაოდენობა აქ თვისებათ უნდა ქცეულიყო და რევოლიუციის ვულკანს ისეთი ძრიერებით ამოეხეთქა, რომ ყველასგან შეძულებულ თვითმპყრობელობის ტახტთან ერთად ბურჟუაზიის და მემამულეების მეუფებაც უნდა შეზანზარებულიყო, რადგან მათი მფარველი და მოწყალე სწორედ ნიკოლოზის კვერთხი იყო.

ეს ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლიუციამ გამომჟღავნა: ასე ერთბაშად აბობოქრება რევოლიუციის სტიქიის, ასეთი ძლიერი გრიგალი არ ახსოვდა მსოფლიოს ისტორიას. ასპარეზზე გამოვიდენ მასსები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, გამოვიდენ სამოქმედოთ, საბრძოლველად. თვითმპყრობელობის და მისი ბურჟუაზიულ—ფეოდალურ ამალის ძალები კიდევ საკმარისი შეიქნენ მასსების რევოლიუციის დროებით უკუსაგდებათ, მარა ასეთი „გამარჯვების" შემდეგ თვითმპყრობელობა და მისი ამალა ისეთი დანაკოდი დარჩენ, ისე იყვნენ თავიდან ფეხებამდე დოლბანდებში გამოხვეული, რომ განმეორებითი შეტევა მათი აღსასრულის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. 1905 წ. ასეთი „გენერალური რეპეტიცია" რომ არ გაგვეკეთებია,—ამბობს ნ. ლენინი, შეუძლებელი იქნებოდა 1917 წ. როგორც ბურჟუაზიული, თებერვლის რევოლიუცია, ისე პროლეტარული, ოქტომბრისა.

1905 წ. რევოლიუციამ ერთი უძლიერესი იარაღი შემატა საერთაშორისო პროლეტარიატის არსენალს—საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. შემდეგშიაც რუსეთის პროლეტარიატი ლესავდა და იმარჯვებდა ამ იარაღს. 1912—14 წლეებში მასსიური გაფიცვები, გაუგონარი და უნახავი დასავლეთ ევროპისათვის, შეიქნა იმ შკოლად, რომელშიაც რევოლიუციონურად გაიწაფა რუსეთის პროლეტარიატი და შეეჩვია მასსიური ბრძოლის საუკეთესოდ ხელმძღვანელობას. ამ შკოლამ და ამ ბრძოლამ შესაძლებელი გახადა წარმოშობა ასეთი თავისებური ფორმის პროლეტარიატის რევოლიუციონური ორგანიზაციის, როგორც ს ა ბ ჭ ო ე ბ ი. ეს უფართოესი ორგანოები მშრომელთა ძალა-უფლებისა შეიქნენ ფორმად პროლეტარიატის დიქტატურისა ყველგან, სადაც კი იფეთქა სოციალისტურმა რევოლიუციამ. პარიჟის კომუნის რევოლიუციური საქმის მემკვიდრეები, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები ყოველგან იქცევიან მშრომელთა ციხე-სიმაგრეთ ბურჟუაზიული რეაქციის დასათრგუნავათ. რუსეთის რევოლიუციის სინამდვილემ წარმოშვა ეს ორგანიზაცია, რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში ჩამოყალიბდენ და პროლეტარიატის მეუფების კლდეთ იქცენ ეს ბრძოლის და მართვა-გამგეობის მთავარი შტაბები კლასიურ დიქტატურამდე ამაღლებულ პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების.

დასასრულ, დანარჩენ მრავალ ხელსაყრელ პირობათა შორის, აღსანიშნავია რუსეთის გეოგრაფიული პირობებიც, რომლის წყალობით პროლეტარულმა რევოლიუციამ შესძლო გამარჯვება და ამ გამარჯვების შენარჩუნება წინააღმდეგ უთვალავ და ყოველი მხრით შემოსეულ მტრებისა. თვალუწვდენელი რუსეთი წარმოადგენს ისეთ სხეულს, რომელსაც შეეძლო დიდ ხანს გაეძლო ალყა-შემორტყმულ მდგომარეობაში. პური და ქვანახშირი, რკინა და ბამბა, ოქრო და სხვა ლითონნები, ტყე და მთები, მდინარეები და ზღვები—ე. ი. ყოველივე რაც კი მიუცილებელი საჭიროა სახელმწიფოსათვის—მასში ბლომათ მოიპოვება. რუსეთი ამ მხრივ თითქმის ის იდეალური აგრარულ—სამრეწველო სახელმწიფოა, რომელსაც ეტრფიან კაპიტალისტურ ქვეყნების იმპერიალისტები. მას შეუძლია დიდხანს გაუძლოს კარჩაკეტილობას. საბჭოთა ჰუნგრეთი სხვათა შორის შიმშილმა დასცა, მას სულ მცირე გასან[illegible] სივრცე [illegible]. სატახტო ქალაქის, ბუდაპეშტის დაკარგვა უნგრეთის საბჭოთა მთავრობისათვის ნიშნავდა თითქმის მთელ უნგრეთის დაკარგვას.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ კი პეტროგადი, რომელსაც დაემუქრა იმპერიალიზმი, როგორც პროლეტარული რევოლიუციის წითელ ქალაქს, სულ იოლათ მიატოვა და მოსკოვში გადმოვიდა.

ლენინი ამბობდა: აქაც რო მოგვადგეს მტერი, ჩვენ ნიჟნი ნოვგოროდში გადავალთ, იქიდან შეიძლება თურქესტანში მოგვიხდეს დროებით გახიზნვა, ტერიტორიას დაიკავებენ იმპერიალისტები, მარა დროებით უკან დახეულ საბჭოთა მთავრობას, ვერ დამარცხებენ, პროლეტარული დიქტატურის იდეასაც კი ვერ წამოაგებენ ხიშტის წვერზეო. რუსეთის საბჭოთა მთავრობა ადგილობრივად დაამარცხა დროებით იმპერიალიზმა ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით, მარა ბოლოს თითონ დამარცხდენ და კუდამოძუებული გაიპარენ ყოველი მხრიდან ჯერ გერმანელები, მერე ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები და ყველა მათი ნოქრები. ეს შესაძლებელი იყო უზარმაზარ ტერიტორიის მეპატრონე რუსეთში, შეუძლებელი შეიქნა პატარა უნგრეთში და ბავარიაში. საგარეო მდგომარეობა რუსეთის ამ გარემოებამ უფრო განამტკიცა.

ნ. გვქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწევება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

სისხლი დაიღვარა, ბევრი შრომის ნაყოფი ზედმეტათ განადგურდა. ვანსაკუთრებით „ტაქტიკურმა ცენტრმა“ გააცხოველა თავისი „სახელოვანი მუშაობა“ მაშინ, როდესაც დენიკინი მოსკოვს უახლოვდებოდა და იუდენიჩი პიტერის კარებს მიადგა. კრასნაია გორკაში მომხდარი სამხედრო აჯანყება, რომელმაც კინაღამ გადაწყვიტა პიტერის ბედი, ამ „ცენტრის“ მოქმედების ნაყოფი იყო. მისი განზრახვანი ისე შორს მიდიოდენ, რომ საკუთარი მთავრობაც შეადგინა მან, დარწმუნებულმა თავის გეგმების მალე განხორციელებაში.

როგორც ვიცით, სრ. რუს. ჩ.-კამ. არ დააცადა მას და ეს „ცენტრი“ თითქმის სრული შემადგენლობით დატუსაღებული იქმნა.

გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი ყოფილან კადეტების და, რაც უფრო საინტერესო იყო, მენშევიკების სახელგანთქმული მეთაურები. ოდესღაც გამოჩენილი სოციალისტი, ევროპაშიც კარგად ცნობილი, რუსეთის მენშევიკების ერთი ბელადთაგანი — ვ. როზანოვი (ენ'ისი) და მის გვერდით მეორე „დიდი“ მენშევიკი ლევიცკი—აღმოჩდენ „მუშათა კლასის და დემოკრატიზმის“ ინტერესების დამცველ გენერალ დენიკინის სამხედრო ბანაკში!!.. მაშინ, როდესაც პროლეტარული რუსეთი ბევრ ალაგს მძიმედ დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ ისტორიაში არ ნახული სასწაულისებური თავგანწირვით იცავდა საერთაშორისო რევოლიუციის ცენტრებს პიტერს და მოსკოვს,—აი ამ დროს მენშევიკი როზანოვი ❁ მისი „კოლლეგა“ ლევიცკი აწყობენ შავრაზმული ამბოხებებს, რომ კარი გაუღონ ორთავიანი არწივით მომავალს „ბრწყინვალე“ გენერალ დენიკინს. ყველანი დარწმუნებული იყო და მათ შორის ჩვენც აქ, რომ მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის ეს ორი ყვითელი ყვავილი სამართლიან სასჯელს მიიღებდა და, როდესაც მოსკოვიდან მოვიდა რადიო—ცნობა, რომ მათ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯაო, ეს მაშინ არავის გაკვირვებია.

ქართველმა მენშევიკებმა მორთეს ყაყანი და ყვირილი: დენიკინელი როზანოვი თავის მფარველობის ქვეშ გამოაცხადეს და კომუნისტების „მხეცობა“ კიდევ ერთხელ გამოაფინეს... რომ თავისი საკუთარი მხეცობა დაეფარათ. თვით აწ უკვე განსვენებულ არშაკ ზურაბოვმაც უძღვნა მის ხსოვნას საკმაოდ ვრცელი წერილი.

ვიმეორებ, ჩვენც დარწმუნებული ვიყავით მის ასეთ ბედში, თუმცა ეს გასაკვირათ არავის დაგვრჩენია. საშინელი, დაუზოგავი, გადამწყვეტი ბრძოლის დროს—ჯაშუშებს და აშკარა გამყიდველებს არ ზოგავენ... ეს თავდაცვის ბუნებრივი კანონია. მით უმეტეს რევოლიუციისათვის...

მაგრამ, აი შემთხვევით ხელში ჩამივარდა მოსკოვის გაზეთები. იქ ვგებულობ რომ როზანოვი არ დაუხვრეტიათ. არც სხვები... მისი საქმე გაირჩა ამ რამოდენიმე კვირის წინ საჯაროთ რევოლიუციონურ ტრიბუნალში. მას და მის მეგობარ ლევიცკის მიუსაჯეს... კონცენტრაციული ბანაკი სამოქალაქო ომის გათავებამდის... მხოლოდ საინტერესოა, რომ ისინი დანაშაულში გამოტყდენ... როგორც ხედავთ პროლეტარული დიქტატურა ხშირათ უფრო ლმობიერი ყოფილა ვიდრე „დემოკრატიული“ ბატონობა წვრილი ბურჟუა—მეშჩანებისა... ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა იციან ეს... კარგადაც იციან...

და თუ კი ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გვემცნო თუ რა ბედი ეწვია დენიკინელ მენშევიკ როზანოვს,—ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ბოლო მოგველო იმ საზიზღროებისთვის, რომელსაც სჩადიოდენ და ეხლაც სჩნდიან ჩვენი ქვეყნის „ბატონ-პატრონნი“, როდესაც კონტრ-რევოლიუციონერ როზანოვის არ დაღვრილი სისხლით ამართლებენ საქართველოს რევოლიუციონერთა მათ მიერ დაღვრილ სისხლს.

იაფად ვაჭრობდენ ჩვენი მენშევიკები როზანოვის „სისხლით“... ამიერიდან მაინც მოეღოს ამას ბოლო!!..

P. S. აღსანიშნავია, რომ რ. ს. დ. მ. პ. ც. კომიტეტი მხოლოდ ეხლა აცხადებს, რომ როზანოვი არ ითვლებოდა სოც. დემ. პარტიაში და, რომ „მისი მოქმედება არის კონტრ-რევოლიუციონური და სოციალისტისათვის დაუშვებელი“.

ცოტა „დაგვიანებული“ მხილებაა!!

**ვინ-ბანი.**

ქუთაისის საგ. საპყრობილე.

# პარტიული ცხოვრება.

**დაშნაკელების მიერ ჩადენილ მკვლელობების გამო.**

გურიის კომიტეტმა ათ სექტემბერს თავის მორიგ სხდომაზე მოისმინა მოხსენება სომხეთში დაშნაკელთა მთავრობის მხეცურ მოქმედების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სომხეთის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია მოღალატე სოციალ-გამცემლების შავი მაგალითებით წათამამებული ღვრის დღეს სისხლს მებრძოლ ამხანაგ-კომუნისტებისას სომხეთში.

ამიერ კავკასიაში შავი რეაქციის ასალაგმავათ არ კმარა მარტო ზიზღისა და პროტესტის გამოცხადება. ამიერ-კავკასიის მშრომელმა მასსამ ფიცი უნდა დასდოს მებრძოლ გმირთა წმინდა ცხედრების წინაშე, რომ ის ადრე იქნება თუ გვიან მწარეთ შეანანებს რევოლიუციის მტრებს, რომ იგი ერთს ასათ მიუზღავს ამიერ-კავკასიის ვრანგელებსა და დენიკინებს. ჯალათებს არ შერჩებათ პროლეტარიატის სისხლი!..

სიკვდილი მტრებს!..

საუკუნო ხსენება დაღუპულ გმირებს.

**გურიის კომიტეტი.**

—

**შუა და ზემო ამაღლების** (გურია) კომუნისტური იაჩეიკა თავის ზიზღსა და წყევლა-კრულვას უგზავნის ხულიგან და ყაჩაღ სომხურ პარტიას დაშნაკელებს, რომლებიც ასე ვერაგულათ უსპობენ სიცოცხლეს სომხის ხალხის ინტერესებისთვის თავგამოდებულ მებრძოლთ—ქეშმარიტ რევოლიუციონერებს, კომუნისტებს. მუხლს ვიდრეკთ ჩვენი წმინდა მიზნებისთვის თავდადებულთა ცხედრების წინაშე და გამოვსთქვამთ შეურყეველ რწმენასა და იმედს, რომ ამიერ კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებს საერთოთ მალე აგებინებს პასუხს ასეთი საზიზღრობისთვის ამიერ კავკასიის პროლეტარიატი და გლეხკაცობა! მოვითხოვთ ყველა კომუნისტების ციხიდან განთავისუფლებას.

**იაჩეიკის პრეზიდიუმი.**

—

**პროტესტი**

მთელი გურიის ორგანიზაციების და თანამგრძნობლების სახელით გურიის კომიტეტის პრეზიდიუმი გულის სიღრმიდან აღმოხეთქილ შურის ძიების ცეცხლის ალში ანთებული ეუბნება სომხეთის ჯალათებს, რომლებიც დღეს წათამამებულნი სისხლის მორევში აღრჩობენ სომხეთის მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლ კომუნისტებს! შესდექით საერთოთ ამიერ კავკასიის შავო ძალებო! შესდექით ხალხის მტერნო, ორგულნო და გამცემლებო! დადგება დრო, რომ მთელი მშრომელი ხალხის რისხვა და მეხი თავს დაგატყდებათ და მიწასთან გაგასწორებს, იცოდეთ, დღეს თუ ხვალ სომხეთში აფრიალდება ძლევამოსილი წითელი დროშა და თქვენს ავაზაკობას ბოლოს მოუღებს. გურიის ორგანიზაციებისა და თანამგრძნობთა სახელით გურიის კომიტეტის პრეზიდიუმი მოითხოვს დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას საზიზღარი რეპრესიები და განთავისუფლებული იქნას ყველა კომუნისტები სომხეთისა.

**გურ. კომ. პრეზიდიუმი**

—

**გურია.** ზომლეთის კომუნისტური იაჩეიკა სასტიკ პროტესტს აცხადებს სომხეთის ჯალათების წინააღმდეგ, რომლებიც ასე მხეცურათ თვრებიან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხკაცობის ინტერესების დამცველ გმირ კომუნისტების სისხლით.

ზიზღი და შეჩვენება ჯალათებს! მშრომელი მასსა არ აპატიებს მათ ასეთ საზიზღრობას.

# სოფელი და მიწის მუშა

ჩვენში.

**სამტრედიის მიწის მუშათა კავშირი**

სამტრედიის რაიონი მთლათ მიწის მუშებითაა დასახლებული. მათი რიცხვი (მთელ რაიონში) 15,000 აღემატება. მიწის მუშებს უნდა ქონდეთ თავიანთი პროფესიონალური კავშირი, რომელიც დარაჯათ იქნებოდა მიწის მუშათა ინტერესების.

სამტრედიის რაიონის მენშევიკებმა დაარსეს ასეთი კავშირი, რომელსაც უწოდეს „მიწის მუშათა კავშირი“, და რომელშიაც არც გამგეობაში, არც ბიუროში ნამდვილი მუშები, ხალხის გულშემატკივარი არ აირჩიეს. მოაწყვეს ისე, შინაურულად.

გამგეობა შესდგება მავნე პირთაგან... შიგ ერთი სოციალის(ტ)-რევოლიუციონერიც კი გაურიეს ალბათ უფრო ფერის მისაცემათ.

რა ქნა, რა გააკეთა მიწის მუშათა კავშირმა?

1) მათ უნდა შეეკავშირებიათ მთელი რაიონის მიწის მუშები და დაეკმაყოფილებიათ უმიწა-წყლო ხალხი მიწის მიწოდებით, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თვით ნამდვილი მიწის მუშები გაურბიან ამ „კავშირს“, სამაგიეროთ მჭიდროთ ყავს შეკავშირნბული არა საიმედო პირები — მეარღნეები, მეტლეები და სხ.

რაშია საქმე?..

ეს კავშირი თუ არ ვცდები შარშან დაარსდა. ხალხს გამოუცხადეს: „მიწა აი აიღოთ კერძოთ დასამუშავებლათ, ჩვენ მოგცემთო“. ხალხიც მათი შემყურე მოტყვილდა.

წარსულ წელს ბევრი დარჩა უმიწოთ. სამაგიეროთ კი გამგეობისა და ბიუროს წევრებმა საკმაო ნორმა დაიმუშავეს.

მიმდინარე წელსაც ცნობილ მიწის რეფორმის გატარება „დასრულდა“ სამტრედიის რაიონში ე. ი. 18 ქცევაზე მეტი ჩამოართვეს მემამულეს და ეს საფთნდო მიწა ერთიანათ გადასცენ ზემოხსენებულ „კავშირს“, რომელსაც სამართლიანად უნდა გაენაწილებიათ საყანეთ უმიწაწყლო გლეხებისათვის (ღალის აღებით რასაკვირველია).

მაგრამ, როგორც შარშან, ისე წელსაც ბევრი დარჩა მათი შემყურე უმიწოთ... ამიტომ ჩვენ ვამბობთ: მიწის მუშათა საქმის მოგვარება, მათი ორგანიზაციულათ შეკავშირება, ეს თვით ნამდვილ მუშათა და გლეხთა საქმეა და, არა მენშევიკ—გეგია და ესერ—კვანტალიანების, რომლებიც თავიანთ თავს უფრო უზრუნველ ყოფენ, ვიდრე ღარიბ ღატაკ მუშებს...

**დაჩაგრული.**

—

საზღვარ-გარეთ.

**სოფლის მუშების გაფიცვა იტალიაში**

**ბერლინი.** რომის გაზეთების ცნობით ყოველი ცდა მიწადმფლობელებსა და მიწის მუშათა შორის შეთანხმების მისაღწევათ ბოლონიის პროვინციაში, უნაყოფო გამოდგა; მოსავლის დიდ ნაწილს იტალიაში დაღუპვა მოელის. მთავრობამ მოსავლის ერთი ნაწილის მაინც გადასარჩენათ, მიიღო ზომები ყველა აუცილებელ მუშაობის დასაწყებათ. მეორე მხრით, იუწყებიან, რომ გაფიცულებმა რეპრესიული ზომები მიიღეს შტრეიკბეხერების წინააღმდეგ.

# სახალხო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში

**ურალის ქარხნები.**

კუსინის ქარხანაში 1920 წლის ხუთი თვის განმავლობაში გადმოადუღეს 137,663 ფუთი თუჯი და ჩამოასხეს 14,153 ფუთი თუჯის ნივთები (ქურქლები, ფეჩისთვის საჭირო საგნები და სხვა).

ტროიცკში ამუშავებული იქნება ფოსფორის ქარხანა, რომელიც პირველ ხანებში დაამუშავებს 50 ფუთს წითელს და 60 ფუთს თეთრ ფოსფორს.

**ტყავების მოსვლა პეტერბურგში.**

პეტერბურგის საგუბტყავის ადრესზე მოვიდა უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა დასაგროვებელ ადგილებიდან რამდენიმე სამარშრუტო მატარებელი სხვილი და წვრილი ტყავეულობით. ასე მაგალითად, ამ დღეებში მოვიდა პეტროპავლოვსკიდან 40 ვაგონი, რომლებიც უკვე დაანაწილეს პირველსა და მეორე სახელმწიფო ტყავის ქარხნებსა და ფაბრიკების—„სკოროხოდ“-სა და „პობედა“-ს შორის. ამას გარდა, მაის-ივნისის განმავლობაში ჩელიაბინსკიდან მოვიდა 4 ვაგონი მსხვილი ტყავებით, ტროიცკიდან—2 ვაგონი წვრილი, ომსკიდან—9 ვაგონი მსხვილი, კუსტანაიდან 5 ვაგონი მსხვილი და 5 წვრილი, ბელო კამენის სადგურიდან 10 ვაგონი მსხვილი და გოროდკიდან (ვიტებსკის გუბერნია,) 2 ვაგონი წვრილი. ამ სახით, უახლოეს თვეებში თითოეული ტყავის სამრეწველო დაწესებულება საკმარისათ უზრუნველყოფილი იქნება ნედლი მასალით.

**ქუდების წარმოება.**

შრომის ნაყოფიერება ვიტებსკის საქუდო სახელოსნოში ივნისის განმავლობაში ორკეცათ გაძლიერდა. პირველიდან ხუთმეტ ივნისამდის 5000 ქუდზე მეტი დაამზადეს. 15-დან 30-მდე—9 ათასზე მეტი.

**შუშის წარმოება.**

სმოლენსკის გუბერნიაში მუშაობს 6 შუშის ქარხანა, რომლებშიაც მზადდება სხვა და სხვა ნაირი შუშები: მწვანე, ნახევრათ თეთრი, ფერადი, ჩაის ჭიქები, ასანთი შუშები და სხვა.

# პროვინციის ცხოვრება.

გლეხის სიმღერა.

გვეყო მონობა, ტანჯვა-ვაება,
ჩვენც გვსურს, რომ ვიყოთ მოქალაქენი;
ნუთუ ტანჯვაში, სიღატაკეში
უნდა ვატაროთ სულ ჩვენი დღენი?

მაშ გზა მოგვეცით, ნუ გვეჩხირებით,
ნუ შეურაცხყოფთ წითელ დროშასა...
გესმით? გაიგეთ!.. უნდ გაუთენდეს
მუდამ დაჩაგრულს მიწის მუშასა.

**სამ. კულაშელი.**

—

**ს. გეჯეთი.**

(სენაკის მაზრა).

ს. გეჯეთში სცხოვრობს 300-დე მიწის მუშა. მათ შორის უმრავლესობა გლეხებია. გლეხობა ყოველ კულტურულ საქმეს შეგნებულად ეკიდება. აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, ორი სამკითხველო, ორი კოოპერატივი—„ივერია“ და „განთიადი“, სამი საამხანაგო წისქვილი.

კოოპერატივ „ივერიის“ საქმე კარგათ არ არის დაყენებული, რადგან ხელს უშლიან ადგილობრივი თავისუფალი სპეკულიანტები, რომლებიც თავის მოქმედებით ყოველ საზოგადო საქმეს აფერხებენ; ეს ვაჟბატონები არიან ძველი ვაჭრები და 1905 წ.-დან საერთოდ სოციალისტების მოსისხლე მტრები.

გასულ წელს მოსავალი ნაკლები იყო, მაგრამ შეიძლებოდა ადგილობრივი სიმინდი ყოფნოდათ დამშეულებს, რომ არ გაეზიდათ ლეგალურ სპეკულიანტებს. ერობის წევრთა უმრავლესობა შეძლებული გლეხებია და ურევია მრავალი სპეკულიანტები.

საზოგადო საქმე აქ არ კეთდება: სამი წელიწადია ხალხმა დაადგინა ტელეფონის გაყვანა გეჯეთიდან სენაკამდის, მაგრამ არ შეუსრულებიათ თუმცა კი ტელეფონისთვის ბოძები დაამზადა თვით ხალხმა. გზები გაფუჭებულია; ერთ დროს თვით ხალხი გამოვიდა კონუნალურათ და გააკეთა ის, მაგრამ, როდესაც მობილვრებსაც მიუსაჯეს გზის გაკეთება, იმათ კი უარი სთქვეს, ამით გლეხები უკმაყოფილო შეიქმნენ და თავი დაანებეს დანარჩენ გზების გაკეთებას.

ახალ მოსავალს, არა უშავს-რა. ერობამ ორასი ფუთი სიმინდი მოგვაწოდა მაგრამ ნაღდი ფული უნდა შეგვეტანა. ღარიბებმა ფული ვერ მოახერხეს და სიმინდითაც შეძლებულებმა ისარგებლეს: ერთი ფუთი სიმინდის მაგიერ ხუთ ხუთი ფუთი სიმინდი შეიძინეს.

**უჩანა.**

—

**სამტრედიის რაიონი.**

სამტრედიის რაიონი ძლიერ განთქმულია სიმინდის მოსავალით. შარშანდელი წელი როგორც სხვაგან, ისე აქაც შიმშილის წელიწადათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ორ წილს გლეხებისას არ მოსვლია სამყოფი სიმინდი.

სასურსათო კრიზისი იქამდის ავიდა, რომ ხშირათ სოფლელები ხილებით იკვებებოდენ. ნამეტან გლახა მდგომარეობაში ჩაცვინდენ ქვრივ ობლები. სიმინდი ორი ათას მანეთამდის ფასობდა და მათ ვინ მისცა ამდენი ფული?

სამტრედიის ქალაქის გამგეობამ თავიდანვე ვერ გამოიჩინა შესაფერი თავდარიგი, რომ დახმარებოდა ხალხს. მათ გაგზავნეს სოხუმის მხარეში კაცი, რომელიც ორ თვეს იქ დასეირნობდა. ბოლოს კვირიკობისთვეში მოიტანა ორიოდე ვაგონი სიმინდი, რომელიც ქვრივობლებს სესხათ დაურიგეს თითო ოროლა ფუთი, აგრეთვე გაყიდეს ცოტა 800 მანეთად ფუთი. ეს იყო და ეს.

ქალაქის გამგეობამ ხალხს ამ გაჭირვების დროს ვერ დაეხმარა და ამით გამოაშკარავა მისი უმოქმედობა და უყურადღებობა თავისით ამრჩეველებისადმი.

როგორც იყო დიდი გაჭირვებით „გაიტანა“ თავი ხალხმა ახალ მოსავლამდის ახლა ეზოობაში უკვე მოტეხეს და ახმობენ სიმინდს, რამაც შეანელა შიმშილობა სოფლად. ბაზარზე მრავლათ არის ახალი სიმინდის ფქვილი გამოტანილი, რომ ნახოთ თუ ვინ ყიდულობს, გაიგებთ, რომ ის, ვინც ყიდულობდა, არც მომავალ წელს ექნება საყოფი მაგრამ რაქნას?.. სხვა გაჭირვებაც ხომ ბლომათ აქვს გლეხს?.. წელს სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს, რაც იმას მომასწავებელია,—რომ სიმინდის ფასი დაიწევს... სხვა საქონელი?.. აი რა აფიქრებს სოფლის მუშას....

**დაჩაგრული**

# განცხადება

გურიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ნატალია და მისი სამი ვაჟის ზალიკო, ბაგრატ და პლატონ ქიქოძეებისაგან 10,000 მ. გურიაში დახვრეტილ ამხანაგების ძეგლის ფონდის სასარგებლოთ. ეს შემოწირულება არის მათი ოჯახის პირველი კომუნისტის, ვარშავის მესამე კურსის სტუდენტის ათანასეს (ილუშა) გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავათ.

**გურიის კომ. პრეზიდიუმი**

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**

სტამბა ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3